

# კური მართვა- ლობის გენერალური

No. 02

ინტერესთა კონფლიქტის  
გადაჭრა საჯარო სექტორში



თავდაცვის სექტორის  
კეთილსინდისიერების ცენტრი

## თავდაცვის სექტორის კათილსინდისიერების ცენტრი

თავდაცვის სექტორის კეთილსინდისიერების ცენტრი (CIDS) ხელს უწყობს კეთილსინდის-იერებას, კორუფციის ნინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს და კარგ მმართველობას თავ-დაცვის სექტორში. ნორვეგიელ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანაშრომლობის გზით ცენტრი ცდილობს აამაღლოს კომპეტენცია, ინფორმირებულობა და უზრუნველყოს პრაქტი-კული სამუალებები კორუფციის რისკების შესამცირებლად. CIDS-ი ნორვეგიის თავდაცვის სამინისტროს მიერ შეიქმნა 2012 წელს.

ნინამდებარე ბუკლეტში გამოთქმული აზრები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს ნორ-ვეგიის თავდაცვის სამინისტროს პოზიციას და არ უნდა მიეკუთვნოს ამ უკანასკნელს.

## ავტორების შესახებ

ფრანცისკო კარდონა CIDS-ის ასოცირებუ-ლი საერთაშორისო ექსპერტია. იგი სახ-ელმწიფო სამსახურის და საჯარო ადმინ-ისტრაციის რეფორმების დაგეგმარების და შეფასების, ადმინისტრაციული სამართლის და მართლმსაჯულების, ანტი-კორუფციული პოლიტიკის და ინსტიტუციური აღმშენე-ბლობის აღიარებული ექსპერტია. მისი სამ-უშაო გამოცდილება მშობლიურ ესპანეთში დაიწყო, სადაც კარიერულ წინსვლას მიაღ-წია სახელმწიფო სამსახურში, შემდეგ გადა-ვიდა საერთაშორისო ორგანიზაციებში, რო-

გორიცაა ეუთო, პროგრამა SIGMA, სადაც 15 წლის განმავლობაში საჯარო მმართველობის უფროს პოლიტიკურ ანალიტიკოსად იმუშა-ვა. SIGMA-ში ყოფნისას კონსულტაციებს უწევდა 25-მდე გარდამავალი და განვი-თარებადი ეკონომიკის ქვეყანას აღმოსავ-ლეთ ევროპაში, აფრიკაში, ლათინურ ამერი-კაში და კარიბის რეგიონში. მას იურიდიული განათლება აქვს (ვალენსიის უნივერსიტეტი, 1976 წ.) და რამოდენიმე ხარისხის მფლობე-ლია საჯარო ადმინისტრაციაში.

# ნინასიტყვაობა

## კარგი მმართველობის გზამკვლევი

წარმოადგენს მცირე ბუკლეტების სერიას, რომელთაგან თითოეული განიხილავს თავდაცვის სფეროში კარგ მმართველობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ თემას. მოცემული ფორმატი სამუალებას იძლევა ზედმეტი გამარტივების გარეშე გაგვიადვილოს ისეთი თემების შესახებ კითხვა, რომლებიც თავისი არსით მრავალნახნავანი და ზოგჯერ ტექნიკურიცაა. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ გზამკვლევები დაწერილია არასპეციალისტებისთვის და არ ითხოვს პროფესიულ ცოდნას რომელიმე კონკრეტულ სფეროში. მათი წაკითხვა შეიძლება მიზანშეწონილი იყოს მათთვის, ვისაც ანტერესებს თავდაცვის სფეროში – ან უფრო ზოგადად საჯარო სფეროში – კარგ მმართველობასთან პირდაპირი კავშირის მქონე ერთი, ან მეტი საკითხი. მათი გამოყენება ასევე შეიძლება საგანმანათლებო მიზნებისთვისაც.

თავდაცვის სექტორის კეთილსინდისიერების ცენტრი (CIDS) არის ნორვეგიის თავდაცვის სამინისტროსთან არსებული კომპეტენციის ცენტრი. იგი აქტიურ როლს თამაშობს ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამაში. მისი მანდატი ითვალისწინებს მუშაობას, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე, მათ შორის პროექტებს, კურსებს და კომპეტენციის და პოტენციალის ამაღლებას. კეთილსინდისიერების მეთოდურად ხელშეწყობის მთავარი გამომწვევი მიზეზი არის მცდელო-

ბა შევამციროთ კორუფციის და სხვა არაეთო-კური ქცევის გამოვლინებები და იმავდროულად გავზიარდოთ გამჭვირვალობა და ანგარიშვალ-დებულება. ამრიგად მოხდება კარგი მმართველობის ჩამოყალიბება დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ჩარჩოებში. აღნიშნული ძალისხმეულისას გადამწყვეტია საჯარო მოხელეთა პირადი და პროფესიული კეთილსინდისიერება და მაღალი ეთიკური სტანდარტები.

გზამკვლევი, კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა და სააგენტოები, დაინერა ფრანცისკო კარდინას ავტორობით, ხოლო მისი რედაქტორია ინგრიდ ბუსტერუდი. მინდა მათ მაღლობა გადავუხადო შთამაგონებელი ძალისხმევისთვის.

ჩვენ მუდამ მივესალმებით კომენტარებს და გამოხმაურებებს კარგი მმართველობის გზამკვლევებთან დაკავშირებით ([cids@ifs.mil.no](mailto:cids@ifs.mil.no)). CIDS-ის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ ვებსაიტზე: [www.cids.no](http://www.cids.no).

ბარდ ბრედრუპ კნუდსენი  
დირექტორი

# სარჩევი

შესავალი .....	3
ინტერესთა კონფლიქტი: ზოგადი კონცეპტუალური საფუძვლის ძიება .....	4
ინტერესთა კონფლიქტი: საერთაშორისო განხილვების პროცესი ფარმოლგენილი ზოგიერთი ცხების თაობაზე .....	8
კოლეგიას განხორციელების საკითხები: ინტერესთა კონფლიქტის სამართლებრივი რეზიგნის შეძმნა .....	12
სხვადასხვა ქვეყნების პრატიკის პედარეპიტი ანალიზი .....	17
აღსრულების აქტევის რესული .....	21
დასკვნები .....	23

## შესავალი

პრინციპში დემოკრატიები ეფუძნება ორი სფეროს ურთიერთგამიჯვნვას. ერთის მხრივ, არსებობს სამოქალაქო საზოგადოება და თავისუფალი ბაზარი, სადაც კერძო ინტერესები და ბიზნესია პრიორიტეტული, რომელიც კონკურენტულია და ისწრაფვის სარგებლის მიღებისაკენ. მეორეს მხრივ, არსებობს სახელმწიფო, ანუ საჯარო სექტორი, რომელიც ნარმოადგენს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ მმართველობას და საჯარო ინტერესს. სახელმწიფო ეფუძნება პოლიტიკურ კლასს და პროფესიონალურ საჯარო ადმინისტრაციას, სასამართლო სისტემის ჩათვლით.

ევროპულ ქვეყნებში, სახელმწიფო მთლიანობაში უნდა განსაზღვროს საჯარო ინტერესი, შეიმუშაოს ბაზრის შესაბამისი რეგულაციები და უზრუნველყოს მათი აღსრულება. საჯარო ინტერესის არსის განსაზღვრა აყალიბებს ლიბერალური დემოკრატიის ძირითად სქემას საბაზრო ეკონომიკაში. რაც უფრო მტკიცეა დემოკრატია და კანონის უზენაესობა, მით უფრო მკაფიოდ ხდება საჯარო და კერძო ინტერესების გამიჯვნა. ინტერესთა კონფლიქტის მთავარ წყაროს საჯარო სფეროსა და თავისუფალი ბაზრის ურთიერთურებება ნარმოადგენს, განსაკუთრებით სახელმწიფო შესყიდვების, საჯარო-კერძო თანამშრომლობის, ლობირების, საჯარო მოსამსახურეთა კერძო სექტორში გადასვლის ('მბრუნავი კარის' ეფექტი) და სხვა მსგავსი სიტუაციები. ინტერესთა კონფლიქტის მართვა გულისხმობს აღნიშნული ურთიერთურებების ისეთ რეგულირებასა და მართვას,

როდესაც პიროვნებათა თავისუფლებები დაცულია და გათვალისწინებული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად და ამავდროულად შენარჩუნებულია საჯარო ინტერესი – რომელსაც ხმირად უწოდებენ, „საერთო სიკეთეს”.

ნინამდებარე გამოცემა მიზნად ისახავს წარმოადგინოს საზოგადოების საჯარო და კერძო სფეროების ურთიერთქმედების მართვასთან დაკავშირებული კონცეპტუალური და რეგულაციური პრობლემები. ეს პრობლემები, რომელიც არსებობს ინტერესთა კონფლიქტის სახით, კომპლექსურია და ძალზე სიტუაციური და შესაბამისად ძალზე დამოკიდებულია კონტექსტზე, რამაც შეიძლება პოლიტიკის შემუშავებლები მიიყენოს ზედმეტად დეტალურ მიდგომებსა და რეგულაციებამდე. რეალურად მრავალ ქვეყანაში ინტერესთა კონფლიქტის რეგულირება ხდება კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. ფაქტია, რომ ისტორიულად ეს მეთოდი გამოიყენებოდა, როგორც მორალური საკითხების რეგულირების საშუალება, თუმცა უკვე დიდი ხანია ინტელექტუალური თვალსაზრისით იგი სარგებლობს დაბალი რეპუტაციით.

## ინტერესთა კონფლიქტი: ზოგადი კონცეპტუალური საფუძვლის ძიება

ინტერესთა კონფლიქტი ერთი შეხედვით შეიძლება სწორხაზოვან ცნებად მოგვეჩენოს. ბრიტანელი ეკონომისტის, ტიმ ლანკესტერის აზრით, ეს არ არის ახალი მოვლენა:

- თანამედროვე გაგებით ინტერესთა კონფლიქტი პოლიტიკურ ლიდერთა და საჯარო მოხელეთა წრეებში არსებობს თვით საჯარო ადმინისტრაციის დასაბამიდან. ძველი სამყაროს საზოგადოებების უმრავლესობაში თვით ინტერესთა კონფლიქტის ცნებაც აღიარებული არ ყოფილა. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ პოლიტიკურ ლიდერებს და თანამდებობების პირებს თავიანთი უფლებამოსილებები პირადი ინტერესების დამაყოფილებისთვის უნდა გამოეყენებინათ.
- მხოლოდ თანამედროვე ინდუსტრიალიზირებული სახელმწიფოების წარმოშობის შემდეგ გაჩნდა იდეა, რომლის თანახმადაც თანამდებობის პირებს და მათ პოლიტიკურ ზემდგომებს უნდა ემოქმედათ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად. ისეთი ფართო სამხედრო ამბიციების მქონე ქვეყნებს, როგორებიც იყო ინგლისი და საფრანგეთი მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში და ბისმარკისა და ჰიტლერის გერმანია, სჭირდებოდათ ეფექტური და შედარებით არაკორუმპირე-

ბული საჯარო სამსახური თავიანთი ამბიციების დასაცავილებლად. საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა ისეთი საჯარო მოხელეები, რომლებიც სრულ ერთგულებას გამოიჩინდნენ ლენინისა და სტალინის მიერ ჩაფიქრებული სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნებისადმი. როდესაც დასავლეთ ევროპისა და სხვა ქვეყნებმა განიცადა დემოკრატიზაცია და მთავრობები გაადგინ ანგარიშვალდებული თავიანთი საზოგადოებების წინაშე, ხალხმა, როგორც „სუვერენმა“ არჩევნების მეშვეობით დაუშინებით მოთხოვა პოლიტიკოსებსა და საჯარო მოხელეებს ემოქმედათ საჯარო და არა პირადი ინტერესების შესაბამისად.

- უმრავლეს ქვეყანაში, პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეების ჯეროვანი უფლებამოსილებების მიმართ მოლოდინი დროთა განმავლობაში იცვლებოდა მზარდი გამჭვირვალობისა და საჯარო უფლებამოსილებებისა და პირადი მიზნების უფრო მკაფიოდ გამიჯვნის მოთხოვნის მიმართულებით. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული კონტროლის მაღალი ხარისხისთვის ჯერ კიდევ ვერ მიუღწევიათ, მსგავსი მოლოდინი კვლავ დაბალია; და იგივე შეიძლება ითქვას იმ ქვეყნებზე, რომლებიც მხოლოდ ცოტა ხნის წინ გახდნენ დემოკრატიულები, ხოლო წარსულში

კი იქ გავრცელებული იყო კორუფცია და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

- თანამედროვე დასავლურ სამყაროში გავრცელებული გაეცით, ინტერესთა კონფლიქტის წყაროს წარმოადგენს პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეების მიერ თავიანთი უფლებამოსილებების პირადი ინტერესებისათვის გამოყენება. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა იმ მომენტიდან, როდესაც პოლიტიკოსების, ან საჯარო მოხელეების პირადი ინტერესები არც თუ მთლად შეესაბამება იმ ხელისუფლებისა, ანდა უწყების მიზნებს, სადაც ისინი მსახურობენ. ყოველთვის იარსებებს ვინმე (ვისაც ჩვენ შეიძლება „ალტრუისტები“ ვუწოდოთ), ვინც დაუფიქრებლად და უპირობოდ ემსახურება ამ მიზნებს. ასევე იქნებან ისეთებიც („ეგოისტები“), რომლებიც, თუკი მათ წინააღმდეგ არ იქნება მიღებული საპირისპირო მექანიზმები, დასაშვებად ჩათვლიან იმას, რომ საჯარო უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში თავიანთი პირადი ინტერესები ჩართონ და საკუთარ საჯარო თანამდებობას გამოიყენებენ პირადი გამორჩენის მიზნით.<sup>1</sup>

1 Lankester, Tim. 2007. "Conflict of interest: A historical and comparative perspective". Paper presented at the 5th Regional Seminar on making international anti-corruption standards operational, held in Jakarta, Indonesia on 6–7 August 2007. [ლანკესტერი, ტიმო. 2007. „ინტერესთა კონფლიქტი: ისტორიული და შედარებითი პერსპექტივი.“] წარმომი წარდგენილი იქნა საერთაშორისო ანტიკორუფციული სტანდარტების ამოქმედებას-

ლანკესტერის ეს შეხედულებები სასარგებლობა, თუმცა სინამდვილეში ამასთან ერთად პრობლემატურიცაა. მსოფლიო გაცილებით უფრო კომპლექსურია და კატეგორიები, რომლითაც ხდება 'მნიშვნელობის და გამარტივების' მინიჭება არ არის მკვეთრად გამიჯნული. აღნიშნული შეხედულებები, რომელსაც უდავოდ ბევრი იზიარებს, ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ და ამავდროულად სადაც სიბრძნეს. სინამდვილეში, 'საჯარო ინტერესი', 'პირადი ინტერესი', 'მიკერძოებულობა', 'კანონისადმი მორჩილება', თუ უფროისისადმი მორჩილება' საკმაოდ ბუნდოვანი კონცეფციებია. საჯარო ინტერესსა და პირად გამორჩენას შორის ზღვარი არ არის ნათელი. გერმანიის ფინანსთა მინისტრს, პანს აიხელს 2001 წელს ბრალი დასდეს ინტერესთა კონფლიქტში, ვინაიდან იგი სამინისტროს კუთვნილი თვითმფრინავით გაემგზავრა თავის საარჩევნო ოლქში პარტიის კრებაზე დასასწრებად. საპასუხოდ მან განაცხადა, რომ იგი მინისტრი იყო დღე-ღამეში 24 საათის და კვირაში 7 დღის განმავლობაში, აქედან გამომდინარე მის შემთხვევაში საჯარო და პირად მოქმედებებს შორის ზღვარის გავლება არარელევანტური იყო.<sup>2</sup>

თან დაკავშირებულ მე-5 რეგიონალურ სემინარზე; ჯაერტა, ინდონეზია, 2007 წლის 6-7 აგვისტო. მასალები იხილეთ: <http://www.oecd.org/site/adboecdanti-corruptioninitiative/40838870.pdf>

2 Haller, Dieter and Chris Shore (ed). 2005. Corruption. Anthropological Perspectives. London: Pluto Press [პალერ დიტერი და კრის შორის. (რედ.) 2005 წ. კორუფცია. ანთროპოლოგიური პერსპექტივები. ლონდონი:

კანონის დონეზე ყველა შესაძლო შემთხვევისა და სიტუაციის რეგულირება არ არის პრაქტიკული და პროდუქტული. რა შედეგი მოჰყვებოდა იმას, თუკი პოლიტიკოსები კანონმდებლობაში ცვლილებებს განახორციელებდნენ მხოლოდ რომელიმე კონკრეტული თანამდებობის პირის ინტერესების დაცვის მიზნით (მაგ. ბერლუსკონი იტალიაში)?<sup>3</sup>

უფრო მეტიც, კანონმდებლობა ორაზროვანია და სადაო, რის წყალობითაც პურის ფულს შოულობს პროფესიონალ იურისტთა მთელი კლასი. 'საჯარო ინტერესის' განსაზღვრება და ის საკითხი, თუ ვინ უნდა განმარტოს იგი, ბუნდოვანი და სადაოა. ფაქტიურად, ნებისმიერ მოცემულ მომენტში საჯარო ინტერესის კონცეტუალიზაცია ქმნის სათამაშო მოედანს, სადაც მიმდინარეობს დავა დემოკრატიული პოლიტიკის თაობაზე.

საჯარო/კერძო დუალიზმი რეალურად საფუძვლად უდევს კორუფციის ცნებათა უმრავლესობას. იგი ცენტრალურ ადგილს იკავებს ინტერესთა კონფლიქტის ნებისმიერ განსაზღვრებაში. საჯარო მოხელეების მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი მკვეთრად გამიჯნავენ თავის პირად ინტერესებსა და შათ მიერ მართულ საჯარო რესურსებს. საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისის შესაბამისად, კორუფციულ ქცევას განაპირობებს საჯარო/კერძოს შორის ზღვარის არასებობა. კორუფციული სეანდალები მიჩნეულია იმ საზომად, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად განვითარებული აქვს საზოგადოებას უნარი ერთმანეთისაგან განსახვაოს საჯარო და კერძო სფეროები. ჰალერი და შორი ამ საკითხს ანთროპოლოგიური პერსპექტივიდან უდაგებიან და მიჩნევენ, რომ ანთროპოლოგებმა დიდი ხნის წინ აღმოაჩინეს საჯარო-კერძო დიქტომის, როგორც კულტურული კატეგორიის, მიკერძოებული და არსებითად ორაზროვანი

გამომცემლობა Pluto Press]

3 See Stille, Alexander. 2007. *The Sack of Rome. Media + Money + Celebrity = Power* = Silvio Berlusconi. London: Penguin Books. [ix], stili, aleqsadre. 2007 ნ. რომის გაძარცვა. მედია+ფული+პოლულარობა=ძალაუფლება=სილვიო ბერლუსკონი. ლონდონი: გამომცემლობა Penguin Books

ხასიათი.<sup>4</sup> მიუხედავად იმისა, რომ დასაცლური დემოკრატიების უმრავლესობაში საჯარო და კერძო სფეროები ექვემდებარება სამართლებრივ რეგლამენტაციას, შუაში მაინც ყოველთვის რჩება უკონტროლო ზონები.

პრობლემატურია იმის დადგენა, თუ ვინ განსაზღვრავს საჯარო ინტერესს. დემოკრატიული თეორიის შესაბამისად, ეს განისაზღვრუბა ამომრჩეველთა ხმათა უმრავლესობით. თუმცა, სულ უფრო მეტი მტკიცებულება მოიპოვება იმისა, რომ ეკონომიკურ ელიტებსა და ბიზნესი ინტერესების წარმომადგენელორგანიზებულ ჯგუფებს სხვებისგან დამოუკიდებლად აქვთ არსებითი გავლენა სამთავრობო პოლიტიკაზე, ხოლო ცალკე აღმასრის მასების ინტერესის გამომხატველ ჯგუფებსა და საშუალო მოქალაქეებს აქვთ ძალზე მცირე გავლენა პოლიტიკის განხორციელებაზე ან საერთოდ არ გააჩნიათ იგი.<sup>5</sup> კორპორაციებსა და ბიზნესი ინტერესებს სულ უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ ზეგავლენა მოახდინონ იმაზე, თუ რა უნდა ითვლებოდეს და რა არ უნდა ითვლებოდეს საჯარო ინტერესად და შესაბამისად განსაზღვრონ საჯარო პოლიტიკა, მაშინ, როდესაც მოქალაქეთა უმრავლესობის გავლენა პოლიტიკურ პროცესზე გაცილებით სუსტია.

მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ 2007 -2008 წლების ფინანსური კრიზისი. ბაზრის კრიზისი თავისუფალი ბაზრის იდეოლოგებისა და საჯარო მოხელეების მეცადინეობით გადაიქცა სახელმწიფო ვალისა და დეფიციტების კრიზისად. ევროპაში კრიზისი გამოყენებულ იქნა ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილებების

4 Haller, Dieter and Chris Shore (ed). 2005. *Corruption. Anthropological Perspectives*. London: Pluto Press [პალერ დიტერ და კრის შორი. (რედ.) 2005 ნ. კორუფცია. ანთროპოლოგიური პერსპექტივები. ლონდონი: გამოცემლობა Pluto Press

5 See, for example, Gilens, Martin and Benjamin Page. 2014. "Testing Theories of American Politics: Elites, Interest Groups, and Average Citizens". *Perspectives on Politics* 12 (3): 564-581. [მაგალითითვის იხილეთ გლობენი, მარტინი და ბენჯამინ პერეზი. 2014 ნ. „ამერიკული პოლიტიკის საცდელი თეორიები: ელიტები, ინტერესთა ჯგუფები და საშუალო მოქალაქეები.“ პოლიტიკური პერსპექტივები 12 (3): 564-581]

მისაღებად, რომლებიც რეალურად ემსახურებოდა გარკვეულ კერძო ინტერესებს: მდიდართა და მსხვილი კორპორაციების დაბეგვრის შემცირება; საჯარო სერვისების პრივატიზაცია; და დასაქმებულთა უფლებების შეკვეცა. ამ კრიზისმა საჯარო მოხელეების, მათ შორის არჩეული პოლიტიკოსების როლი და საქმიანობა მოაქცია ყურადღების ცენტრში და წარმოშვა კითხვა: როგორ დავადგინოთ როდის მოქმედებენ პოლიტიკოსები საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და როდის ახორციელებენ უბრალოდ კერძო ინტერესებით ნაკარნახევ პოლიტიკას? ამ კრიზისმა არაერთ ქვეყანაში დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ მოქმედი მაღალი თანამდებობის პირებისა და პოლიტიკოსების სტატუსი, როგორც საჯარო ინტერესისა და საერთო სარგებლის სადარაჯოზე მდგარი საჯარო მოსამსახურეების და მენეჯერების.

მსგავს პირობებში შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს საზოგადოების სკეპტიციზმი და ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელმა ღონისძიებებმა უფრო რიტუალური ხასიათი შეიძინოს და არა არსებითი ქმედითუნარიანობა მრავალი თვალსაზრისით; მსგავსი სიტუაციები ხასიათდება ინსტრუმენტების (მაგ. ქონებრივი დეკლარაცია) და არსის (მაგ. ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა) ერთმანეთში აღრევის ტენდენციებით. ალბათ, მთავრობათა უმეტესობისათვის ეს არის ერთადერთი ხერხი შექმნას შთაბეჭდილება იმისა, რომ საჯარო ინსტიტუტები ინტერესთა კონფლიქტის დაძლევას ახერხებენ. თუმცა, გამართული ინსტრუმენტები თავისთავად არ არის საკმარისი გამოწვევების გასაქარწყლებლად. ამგვარი სირთულეების გადასალახად ყოველთვის საჭიროა პოლიტიკური გამბედაობა.

## ინტერესთა კონფლიქტი: საერთაშორისო განხილვების პროცესში წარმოდგენილი ზოგიერთი ცნების თაობაზე

მიუხედავად იმისა, რომ არაერთმა ქვეყანამ უკვე დიდი ხანია მიმართა ინტერესთა კონფლიქტის საკითხთან დაკავშირებულ შესაბამის ღონისძიებებს, საერთაშორისო დონეზე მისი განხილვა შედარებით გვიან დაიწყო. საერთაშორისო მსჯელობა ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით უფრო ინტენსიური გახდა ცივი ომის დასრულების შემდგომ. აღსანიშნავია, რომ ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებისკენ მიმართული პირველი ანტი-კორუფციული ინსტრუმენტი – იყო გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1996 წლის 12 დეკემბერს 51/59 რეზოლუციით მიღებული საჯარო მოხელეთა ქცევის საერთაშორისო კოდექსი. აღნიშნული ქცევის კოდექსი წარმოადგენს დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის თაობაზე პავანაში, კუბაზე, 1990 წელს გამართული გაეროს მერვე კონგრესის მუშაობის პირდაპირ შედეგს. ქცევის კოდექსი სიღრმისეულად განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებს, წარმოაჩენს კონცეფციის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლებს და მიუთითებს არაერთ გასატარებელ რელევანტურ ღონისძიებაზე.

ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე საერთაშორისო განხილვები გამომდინარეობს იმის გააზრებიდან, რომ ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში შეიმჩნევა მთავრობის მიმართ ნდობის

შემცირება, რაც საჯარო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტებს უკავშირდება. მთავარი საერთაშორისო გზავნილი უკავშირდება ისეთი საკონტროლო მექანიზმების შემუშავებას, რომელთა მეშვეობითაც მიღწეული მეტი მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა, ღიაიბა და ანგარიშვალდებულება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ნდობის აღდგენას მმართველი ინსტიტუტების მიმართ.

ეს დებატები ნდობის აღდგენასთან დაკავშირებით მოქცეულია საერთაშორისო ორგანიზაციების თვალთახედვის არქში, რომლებიც სახელმწიფო ორგანოების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით საზოგადოებას სთაგაზობენ მკაცრ მოთხოვნებს, ანდა საერთაშორისო სტანდარტებს. ეს ფენომენი შეინიშნება მაგალითად ევროკავშირში, სადაც ახლად განევრიანებულ სახელმწიფოებს ინტერესთა კონფლიქტის უფრო მკაცრი მარეგულირებელი სტანდარტები აქვთ მიღებული, ვიდრე ძველ წევრებს.

კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივად სავალდებულო საერთაშორისო ინსტრუმენტები, ასევე ის, რასაც უწოდებენ ‘რბილ კანონებს’, მოიცავს პრევენციული ზომების განმსაზღვრელ დებულებებს, როგორიცაა: სტანდარტები (ქცევის კოდექსები), სახელმძღვანელო პრინციპები და მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საჯარო სექტორის ან-

გარიშვალდებულების უზრუნველყოფაზე  
ინტერესთა კონფლიქტის დაძლევის მიზნით.

- კორუფციასთან ბრძოლის ინტერამერიკული კონვენცია (მუხლი 3: პრევენციული ზომები);
- დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ოქმი (მუხლი 5: პრევენციული ზომები);
- აფრიკული კავშირის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის კონვენცია (მუხლი 7: კორუფცია და საჯარო სამსახურში კორუფციასთან დაკავშირებული სამართალდარღვევები);
- გაეროს 2003 წლის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია – UNCAC (თავი II: პრევენციული ზომები);
- გაეროს საჯარო მოხელეთა საერთაშორისო ქცევის კოდექსი (მუხლი 11: ინტერესთა კონფლიქტი და დისკვალიფიკაცია);
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია: საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის მართვის სახელმძღვანელო მითითებები – საჯარო სექტორის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;
- ეროვნული საჯარო მოხელეთა ქცევის ტიპური კოდექსი (მუხლი 13: ინტერესთა კონფლიქტი).

გაეროს 2003 წლის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია – UNCAC არის არსებოთი პრევენციული მექანიზმი, რომელიც შეიცავს კონკრეტულ დებულებებს ინტერესთა კონფლიქტითან დაკავშირებით. UNCAC განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გამჭვირვალობასა და სტანდარტიზაციას. რამდენიმე ნორმა მოითხოვს კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებისგან დააწესონ საჯარო სექტორის ოფიციალურ პირთა ქცევის ნარმართველი სტანდარტები და განახორციელონ იმგვარი სისტემების კოდიფიკაცია, რომლებიც უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების

და სახელმწიფო ბიუჯეტის მართვის კანონიერ პრაქტიკას. UNCAC ასევე შეიცავს სახელმძღვანელო მითითებებს კერძო სექტორთან დაკავშირებით. პრევენციული ზომების არარსებობამ შეიძლება გამოიწვოოს სხვადასხვა სახის სისხლის სამართლის დანაშაულთა ჩადენა, როგორიცაა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ზეგავლენით ვაჭრობა, მართლმსაჯულების დაბრკოლება, უკანონო მითვისება და სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების მიტაცება პირადი გამორჩენის მიზნით. UNCAC თითოეულ სისხლისამართლებრივ უკანონო ქმედებას განიხილავს სხვადასხვა მუხლებში:

- გაფლანგვა, მითვისება ან საჯარო სექტორში ქონების სხვა არამიზნობრივი გამოყენება (მუხლი 17);
- გავლენით ვაჭრობა (მუხლი 18);
- უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხლი 19);
- უკანონო გამდიდრება (მუხლი 20);
- ქონების დატაცება/გაფლანგვა კერძო სექტორში (მუხლი 22);
- მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა (მუხლი 25).

მიუხედავად UNCAC-ის მსგავსი საერთაშორისო კონვენციების არსებობისა, ინტერესთა კონფლიქტის განმარტება და რეგულირება კვლავ ძალზე რთულ საქმედ რჩება. ეს დიდწილად პოლიტიკური საკითხია, თუმცა შეინიშნება ტენდენცია, რომ იგი დაყვანილ იქნას ისეთ ინსტრუმენტამდე, როგორიცაა გამუღავნების მექანიზმები. თუმცა, ასეთი მექანიზმები შეიძლება იოლად იქცეს გამარტივებულ მიდგომად. ისინი საშუალებას აძლევენ სხვადასხვა ქცევებს მოახდინონ ინტერესთა კონფლიქტის მართვის კარგი სამართლებრივი რეჟიმის დემონსტრირება – მაგალითად, იმით რომ ყველას ავალდებულებებს ნარადგინონ ქონებრივი დეკლარაცია – თუმცა საჯარო ინტერესი მაინც აღრეული რჩება ყოფილი, თუ მოქმედი საჯარო მოხელეების ანგარებით ინტერესებთან.

საინტერესოა, თუ როგორ განმარტავენ ინტერესთა კონფლიქტს სხვადასხვა ერთოვნული და საერთაშორისო ინსტიტუციები. საფრანგეთის კორუფციის პრევენციის ცენტრალური / სამსახური – SCPC ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევს ისეთ ფაქტობრივ სიტუაციას, როდესაც პირის წინაშე ორი ურთიერსაპირისპირო ინტერესია – ერთის მხრივ საჯარო, ხოლო მეორეს მხრივ, კერძო, ანუ პირადი და მან უნდა გადაწყვიტოს რომლის სასარგებლოდ იმოქმედოს.<sup>6</sup>

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2000 წლის 11 მაისის (2000)10 რეკომენდაციის მე-8 მუხლის შესაბამისად, საჯარო მოხელემ არ უნდა დაუშვას კონფლიქტი საკუთარ კერძო ინტერესებსა და თავის საჯარო თანამდებობას შორის. მისი პირადი პასუხისმგებლობაა თავიდან აიცილოს ინტერესთა ამგვარი კონფლიქტი, მიუხედავად იმისა ეს კონფლიქტი რეალურია, პოტენციური თუ მოჩვენებითი. საჯარო მოხელემ არასდროს არ უნდა ისარგებლოს თავისი უფლებამოსილებით თავისივე კერძო ინტერესების დასაქმაყოფილებლად.<sup>7</sup> აღნიშნული რეკომენდაცია (მუხლი 13) იძლევა განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვილი ისეთ სიტუაციაში, სადაც საჯარო მოსამსახურეს აქვს გარკვეული კერძო ინტერესი, რომელიც ზეგავლენას ახდენს, ან ქმნის ზეგავლენის მოხდენის შთაბეჭდილებას მის მიერ ოფიციალური უფლებამოსილებების მიუკრძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე. ხსენებული მუხლი ასევე იძლევა კერძო ინტერესის ცნების ვრცელ განმარტებას.

ეთგო ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევს წინამდებარებას საჯარო მოვალეობასა და საჯარო მოხელის პირად ინტერესებს შორის, როდესაც საჯარო მოხელეს გააჩნია ისეთი

<sup>6</sup> Service central de prévention de la corruption (SCPC). 2004: “Le conflit d’intérêts” [კორუფციის პრევენციის ცენტრალური სამსახური (SCPC). 2004 წ. „ინტერესთა კონფლიქტი“] იხილეთ ბმულზე: [http://www.justice.gouv.fr/art\\_pix/rapportscpc2005.pdf](http://www.justice.gouv.fr/art_pix/rapportscpc2005.pdf) (gv. 23–83)

<sup>7</sup> (2000)10 რეკომენდაცია იხილეთ: [https://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/documents/Rec%282000%2910\\_EN.pdf](https://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/documents/Rec%282000%2910_EN.pdf)

პირადი ინტერესი, რომელმაც შესაძლოა არა-ჯერობანი გავლენა იქონიოს მოხელის მიერ თავისი ფუნქციების და მოვალეობების განხორციელებაზე.<sup>8</sup>

2011 წლის იანვარში საჯარო სფეროში ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის საკითხებზე მომუშავე საფრანგეთის ანალიტიკურმა კომისიამ ანგარიში წარუდგინა რესუბლიკის პრეზიდენტს.<sup>9</sup> კომისიის განმარტებით, ინტერესთა კონფლიქტი წარმოადგენს სიტუაციას, სადაც ხდება საჯარო მოხელის კერძო ინტერესის ჩაჯარო მოხელის ოფიციალურ მისაში, თუკი შეიძლება საფუძვლინად იქნას მიჩნეული, რომ ამ კერძო ინტერესს, მისი ბუნებიდან და ინტენსივობიდან გამომდინარე, უნარი აქვს საჯარო მოვალეობათა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, ან ობიექტურ აღსრულებაზე გავლენა მოახდინოს, ან გავლენის მოხდენის შთაბეჭდილება შექმნას. ინტერესთა კონფლიქტის მსგავსი განმარტება მოცემული ესპანეთის 5/2006 კანონის მე-4 მუხლში, რომელიც არეგულირებს მთავრობის წევრთა და გენერალური სახელმწიფო ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეთა საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებს.

ევროპის ომბუდსმენი გვთავაზობს ინტერესთა კონფლიქტის შემდევ განმარტებას: „სიტუაციები, სადაც საჯარო მოხელის კერძო ინტერესები და პარტიული, თუ უწყებრივი კუთვნილება თითქოსდა ქმნის კონფლიქტს, ან უნარი აქვს შექმნას კონფლიქტი ამ მოხელის მიერ თავისი ოფიციალური მოვალეობების

<sup>8</sup> OECD 2003. “Managing Conflicts of Interests. OECD Guidelines and Country Experiences” [ეთგო 2003 წ. „ინტერესთა კონფლიქტის მართვა. ეთგო-ს სახელმძღვანელო მითითებები და ქვეყნების გამოცდლება.“] იხილეთ: <http://www.oecd.org/corruption/ethics/489919.pdf>

<sup>9</sup> Commission de réflexion pour la prévention des conflits d’intérêts dans la vie publique. 2011. “Pour une nouvelle déontologie de la vie publique”. [საჯარო სფეროში ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის საკითხებზე მომუშავე საფრანგეთის ანალიტიკური კომისია. 2011 წ. „საჯარო სფეროს ახალი დეონტოლოგია“] იხილეთ: <http://www.conflits-interets.fr/pdf/rapport-commission-conflits-interets-vie-publique.pdf>

ჯეროვნად აღსრულებასთან.<sup>10</sup> მიუხედავად  
იმისა, რომ ეს არის ინტერესთა კონფლიქტის  
მკაფიო და შინაარსობრივი განმარტება, ის  
მანც ვერ ხსნის თუ რა სახის სიტუაციებში  
შეიძლება წარმოიშვას იგი.

---

10 See Intervention of Mr. Ian Harden, Secretary General of the European Ombudsman, in the Workshop “Better Avoidance of Conflicts of Interest: EU Agencies and Other Bodies Moving Forward”. Organised by the European Parliament, Brussels, on 21 February 2013 [იხილეთ ევ-როპის ომბუდსმენის გენერალური მდივნის, ბატონი იან ჰარდენის გამოსვლა 2013 წლის 21 თებერვალს ბრიუსელში ევროპული პარლამენტის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაზე: „ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმების გაუმჯობესება: ევროკავშირის სააგენტოებსა და სხვა ორგანოების განვითარება.“ ბრიფინგი ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/workshop/join/2013/490675/IPOLJOIN\\_AT\(2013\)490675\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/workshop/join/2013/490675/IPOLJOIN_AT(2013)490675_EN.pdf)

## პოლიტიკის განხორციელების საკითხები: ინტერესთა კონფლიქტის სამართლებრივი რეჟიმის შექმნა

ინტერესთა კონფლიქტი თავისი არსით ყოველთვის არ წარმოადგენს კორუფციას. ფაქტია, რომ ინტერესთა კონფლიქტი არ არის აღიარებული სისხლის სამართლის დანაშაულად ყველა ქვეყანაში. თუმცა, ინტერესთა კონფლიქტი ძალზე აზიანებს საზოგადოების ნდობას სამთავრობო დაწესებულებებისადმი. რამდენიმე წლის წინ ევროკავშირში ჩატარებულმა შედარებითმა კვლევამ ცხადყო, რომ [უმრავლეს] შემთხვევებში, კორუფცია ჩნდება იქ, სადაც წინამდებრებ კერძო ინტერესს არაჯეროვანი გავლენა მოუხდებია საჯარო მოხელის მოქმედებაზე ... შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება უნდა გახდეს კორუფციის პრევენციის და მის წინააღმდეგ ბრძოლის ფართო პოლიტიკის ნაწილი.<sup>11</sup> კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება იყოს რეალური (ფაქტობრივი), მოჩვენებითი, ან პოტენციური. ყველა მათგანი თანაბრად ასუსტებს მოქალაქეთა ნდობას საჯარო ინსტიტუტებისადმი.

ინტერესთა კონფლიქტი თავს იჩენს არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს მიუღებელ წინააღმდეგობას საჯარო მოხელის

11 OECD SIGMA. 2005. ~Conflict of Interest Policies and Practices in Nine EU Member States: A Comparative Review~ ქოგოს პროგრამა SIGMA. 2005 წ. „ევროკავშირის ცხრა წევრი სახლებზიფვოს ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა და პრაქტიკა: შედარებითი მიმოხილვა.“ იზილეთ ბმულზე: <http://dx.doi.org/10.1787/5km160r7g5zq-en>

როგორც კერძო მოქალაქის ინტერესებსა და მისი, როგორც საჯარო მოხელის მოვალეობებს შორის, არამედ მაშინაც კი, როდესაც ასეთი კონფლიქტი მოჩვენებითია, ან პოტენციურად არსებობს. მოჩვენებითი ინტერესთა კონფლიქტი ისეთი სიტუაციაა, როდესაც არსებობს კერძო ინტერესს, რომელიც სხვათა მიერ შეიძლება საფუძვლიანად იქნას მიჩნეული, როგორც საჯარო მოხელის მოვალეობებზე გავლენის მქონე, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტიურად ასეთი უმართებულო გავლენა არ არსებობს, ანდა შეიძლება ვერც განხორციელდეს. საჯარო მოხელის კეთილსინდისიერებაში და/ან შესაბამისი საჯარო ორგანიზაციის კეთილსინდისიერებაში შეტანილი პოტენციური ეჭვი ინტერესთა მოჩვენებით კონფლიქტს აქცევს ისეთ სიტუაციად, რომელიც სავალდებულო წესით თავიდან უნდა იქნას აცილებული. ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი არსებობს მაშინ, როდესაც საჯარო მოხელეს გააჩნია ისეთი კერძო ინტერესები, რომელთაც შეუძლიათ ოდესმე, მომავალში გამოიჩინონ ინტერესთა კონფლიქტი.

თუმცა, ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრება გულისხმობს კორუფციის ფართო გაგებას. კორუფცია არ არის მხოლოდ და მხოლოდ ქრთამის მიცემა და აღება. კორუფცია მოიცავს პოლიტიკურ კორუფციას, რომელიც გულისხმობს ყველა იმ მოქმედებას, რომელსაც ახორციელებენ პოლიტიკური მოთამაშეე-

ბი (მათ შორის საჯარო მოხელეები) პოლიტიკური (დემოკრატიული) თამაშის წესების დარღვევით, როდესაც საჯარო ვალდებულებებზე წინ თავიანთ კერძო ინტერესებს აყენებენ. დამოკრატიული პოლიტიკური თამაშის წესების შესაბამისად, საჯარო მოხელეებმა ბოროტად არ უნდა გამოიყენონ თავიანთი ძალაუფლება პირდაპირ, ან ირიბად საკუთარო კერძო მიზნების დასაქმაყოფილებლად. უფლებამოსილების ბოროტად გამოიყენებას ადგილი აქვს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საჯარო მოხელეები არღვევენ კანონს, არამედ მაშინაც კი, როდესაც ირღვევა საჯარო ეთიკის წესები და უფლებამოსილებები გამოიყენება პირადი ძალაუფლების, მდგომარეობის ან სიმდიდრის გაზრდის მიზნით.<sup>12</sup>

საფრანგეთში, *prise illégale d'intérêts* (ანუ გარკვეული სარგებლის უკანონოდ მიღება) სისხლის სამართლის კოდექსის 432-12 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გულისხმობსა არჩეული თანამდებობის პირის მიერ საჯარო სამსახურში თავისი მდგომარეობის გამოყენებას პირადი გამორჩენის მიზნით. ამ დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, დამნაშავეს ენიშნება სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ხუთ წლამდე ვადით და ჯარიმით ნახევარი მილიონი ევროს ოდენობით. თუმცა *prise illégale d'intérêts* განსხვავდება ინტერესთა 'უბრალო' კონფლიქტისაგან, რომელიც არსებითად არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს.<sup>13</sup> სასამართლოში ბრალეულობის დამტკიცება ამ კატეგორიის საქმებზე ძალზე რთულია, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

გაერთიანებული სამეფოს პარლამენტში 'ფული შეკითხვების სანაცვლოდ' სკანდალთან დაკავშირებით ნოლანის კომიტეტის პირველ ანგარიშში აღინიშნა, რომ 'დემოკრატიული

12 იქვე

13 Rebut, Didier. 2013. « Les conflits d'intérêts et le droit pénal ». სიხლის რეპორტერი, დიდიე. 2013 წ. „ინტერესთა კონფლიქტი და სისხლის სამართლი – Pouvoirs, revue française d'études constitutionnelles et politiques 147: 123–131.]

პროცესის მიმდინარეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პარლამენტის წევრებმა შეინარჩუნონ მართლზომიერების უმაღლესი სტანდარტები ამომრჩევლის წინაშე თავიანთი მოვალეობების აღსრულების დროს. საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცების მიზნით ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათი ამგადარი ქცევა სხვებმაც დაინახონ. <sup>14</sup> აღნიშნულის შედეგად, 1996 წელს მიღებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატის წევრთა ქცევის კოდექსი, რაც ცხადყოფს, რომ ბრიტანული მიდგომა ეფუძნებოდა იდეას, რომლის თანახმადაც ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა მთავრობის ეთიკური სტანდარტების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენდა.

ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული პოლიტიკის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს მთავრობისა და პოლიტიკური კლასის მიმართ ნდობის შენარჩუნება და გაზრდა. ნებისმიერი რეალური, მოჩვენებითი, თუ პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი ატარებს კორუფციის რისკს, რომელსაც დამნაშაველი შედეგი მოაქვს დემოკრატიის პრინციპებისა და დემოკრატიული პროცესებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აბსტრაქტულ დონეზე ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრა საკმაოდ მარტივია, ინტერესთა კონფლიქტის ცალსახარებულირება, კორუფციის თავიდან აცილების მექანიზმის სახით, გაცილებით უფრო რთულია რიგი მიზეზების გამო.

ინტერესთა კონფლიქტის რეგულირების მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღები პირების მიუკერძოებლობისა, ან დამოუკიდებლობის განმტკიცება; ასევე საკუთარი ქვეყნის მართლწესრიგის მიმართ ერთგულების უზრუნველყოფა, ნებისმიერი სხვა ლიიალობის უნინარესად. მიუკერძოებლობის გაუფა-

14 The scandal began in October 1994 when The Guardian newspaper alleged that London's most successful parliamentary lobbyist had bribed two conservative MPs in exchange for asking parliamentary questions, and other tasks. [სკანდალი დაიწყო 1994 წლის ოქტომბერში, როდესაც გაზემობაზე ნარმატებულმა ლობისტმა პარლამენტის იონ კონსერვატივი წევრი მოქრანა, საპარლამენტო შეკითხვების დახმისა და სხვა დავალებების განხორციელების სანაცვლოდ.]

სურების რისკი დამოკიდებულია არა მხოლოდ სამართლებრივ რეგულაციებზე, არამედ პროფესიულ ეთიკასა და პიროვნების მორალურ პრინციპებზეც. ეს უკანასკნელი შესამჩნევად სუბიექტურია და მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის პიროვნებას. აღნიშნული სუბიექტური ასპექტი ხელს უშლის ისეთი სამართლებრივი რეგულაციის შემუშავებას, რომელიც ცალსახად უზრუნველყოფდა იმას, რომ საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესი ყოველგვარი მიკერძოებისგან გათავისუფლებულიყო. ამიტომაც ხშირად იმეორებენ, რომ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირდით პირველ შეფასებას აკეთებს თავად თანამდებობის პირი, რომელმაც უნდა შეაფასოს ახდენს, თუ არა მისი კერძო ინტუაცია გავლენას მისაღებ გადაწყვეტილებაზე, ან პოზიციაზე კონკრეტულ საჯარო საკითხთან დაკავშირდით, ან მოსალოდნელა, თუ არა ასეთი რამ. ამ შეფასების შედეგებს ყოველთვის განაპირობებს თანამდებობის პირის პირადი აღქმა. ის ყოველთვის სუბიექტური იქნება, მაშინაც კი, როდესაც საერთოდ არ ექნება თაღლითობის, ან შეცდომაში შევყანის განზრახვა. ამიტომაც საჯარო ქცევის კარგი კოდექსი ყოველთვის იძლევა რეაქმენდაციას, საორგონო სიტუაცია ღიად განხილულ იქნას, მაგალითად ხელმძღვანელობასთან.

ინტერესთა კონფლიქტის რეგულირება, გარდა ამისა, უკავშირდება საჯარო ინსტიტუციების საქმიანობის მეთოდების ღრმა ანალიზს, განსაკუთრებით პოლიტიკურ დონეზე, ასევე გადაწყვეტილების მიღებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესების შესწავლას. ეს კომპლექსური ღრისძიებაა, ვინაიდან აუცილებელია დადგინდეს ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციის მიერ გამოწვეული შესაძლო რისკების ბუნება და ინტენსივობა. მხოლოდ ამის შემდგომ იქნება შესაძლებელი ყველაზე შესაფერისი საპასუხო მოქმედებისა და ზიანის აღმოფხვრის ზომების შერჩევა. ყველაზე ხშირად იყენებენ ისეთ მარეგულირებელ ინსტრუმენტებს, როგორიცაა კანონები ან ეთიკის კოდექსი, რაც დამოკიდებულია კულტურულ ადმინისტრაციულ ტრადიციებზე. ზოგიერთ ქვეყანაში, კანონი ზოგადად უკრძალავს სა-

ჯარო მოხელეებს ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციებში მონაწილეობას; ამავდროულად ინსტიტუციურ დონეზე შემუშავებული ეთიკის ქვევის კოდექსები დეტალურად განმარტავენ აკრძალულ ქმედებებს და განსაზღვრავენ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების სახელმძღვანელო მითითებებს.

ინტერესთა კონფლიქტის რისკების მიმართ რეაგირება შეიძლება იყოს პრევენციული, ან რეპრესიული. აღმოსავლეთ ევროპის გარეთ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტებს საკუთარ სისხლის სამართლის კოდექსებში. ქვეყნების უმრავლესობაში დანაშაულად ითვლება ინტერესთა კონფლიქტიდან გამომდინარე კონკრეტული ქცევა, ან ქმედება და არა რეალური, მოჩვენებითი, ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციაში ყოფნა. მაშასადამე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დასავლურ დემოკრატიებში ინტერესთა კონფლიქტის რეგულირება უმთავრესად განეცუთვნება ანტიკორუფციული პოლიტიკის და მექანიზმების განხორციელების პრევენციულ ასპექტს. პრევენცია ნიშნავს რამე სიტუაციის, ან მოვლენის თავიდან აცილებას. პრევენციის რეალური ეფექტურობის გაზომვა პრობლემატურია. კარგად ცნობილი 'მიკუთვნების პრობლემა' გვასწავლის, თუ რა ძნელია გაიზომოს ის, თუ რამდენად შევვიძლოა მივაკუთვნოთ მოცემული შედეგი წინმსწრებ ქმედებას, მაგალითად, მთავრობის, ინსტიტუციის ან საჯარო მოხელის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებს.

თუმცა, მკაფიო საკანონმდებლო ბაზას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციების თავიდან აცილების უზრუნველასყოფად. საკანონმდებლო ჩარჩო არის კანონის სიცხადის წინაპირობა, რომელიც აუცილებელია კანონის უზენაესობის განხორციელებისთვის და საჯარო ინტერესების დაცვისათვის, ისევე როგორც ინდივიდუალური ანგარიშვალდებულებისა და პირადი პასუხისმგებლობების განსაზღვრისათვის. ერთის მხრივ რეგულაციებმა უნდა განმარტოს, თუ რომელი საჯარო თუ კერძო საქმიანობა, თუ ინტერესი ითვლება უკანონოდ, როდესაც

საჯარო მოხელე მას უთავსებს თავის ჩვეულ საჯარო საქმიანობას. ხოლო მეორეს შხრივ უნდა განსაზღვროს ის ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს საჯარო და კერძო ინტერესების დაპალანსებას.

ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციის შეფასებისას სუბიექტივიზმის შემცირების მიზნით რეგულირება უნდა დაეფუძნოს სტანდარტული სიტუაციების ტიპოლოგიას. თუმცა გამოწვევა მდგომარეობს დაუსაბუთებელი მსჯელობების თავიდან აცილებაში. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოლიტიკოსის მდგომარეობა სრულიად განსხვავდება საჯარო მოსამსახურის მდგომარეობისაგან. თავის მხრივ, უფროს საჯარო მოხელეთა პოზიცია განსხვავდება რიგითი საჯარო მოხელეების პოზიციისგან. პოლიტიკოსების ჯგუფში, პარლამენტის წევრთა მდგომარეობა განსხვავდებულია მთავრობის წევრთა მდგომარეობისაგან საჯარო გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის განხორციელების შესაძლებლობების თვალსაზრისით.

რაც უფრო მაღალია საჯარო მოხელის თანამდებობა ადმინისტრაციულ იერარქიაში, მით უფრო მაღალია მის მიერ დისკრეტიული უფლებამოსილების გამოყენების ალბათობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რაც უფრო მეტად თავისუფალია საჯარო მოხელე გადაწყვეტილებების საკუთარი შეხედულებისამებრ მიღებისას, მით უფრო რეალურია, რომ ის აღმოჩნდეს ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციაში. მაშასადამე, საჯარო პასუხისმგებლობის სწორედ ეს დონე მოითხოვს ინტერესთა კონფლიქტისა და შეუსაბამო კცევის მკაცრად რეგულირებას. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის (უნდა იყოს) ინტერესთა კონფლიქტის რეგულაციები უფრო მკაცრი მინისტრებისა და სხვა მაღალი საჯარო მოხელეების მიმართ.

ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციათა გარკვეულ ფორმებს, რომელთა მონაწილეებიც არიან მაღალი საჯარო თანამდებობის პირები (პოლიტიკოსები და მაღალი რანგის საჯარო მოხელეები და ის საჯარო მოსამსახ-

ურები, რომლებსაც აკისრიათ სახელმწიფო ფუნქციები) უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება რეგულირების თვალსაზრისით, ვინაიდან ამ პირთა გადაწყვეტილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მეტად საზიანო შედეგები, თუკი მიღებულ იქნება მიკერძოებულად, ან არაკეთილსინდისიერად. შესაძლო სარეგულაციო ღონისძიებები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი კითხვების სახით:

- საჯარო სამსახურისგან თავისუფალ დროს დასაშვები უნდა იყოს, თუ არა საჯარო მოხელის მიერ პროფესიული, ან ანაზღაურებადი საქმიანობის წარმოება?
- შესაძლებელია, თუ არა პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში ისეთ საჯარო მოხელეთა მონაწილეობა, რომელთა მიუკერძოებლობა საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას (მაგალითად მოსამართლეები, პროექტორები, სახელმწიფო აუდიტის, ან კონტროლის პალატის წარმომადგენლები, ეროვნული ბანკის მოსამსახურები, მაღალი რანგის სამხედრო ოფიცირები და პოლიციის მუშაკები)?
- უნდა დაერთოთ, თუ არა ნება საჯარო მოხელეებს მიიღონ საჩუქრები, შემოწირულობები, ან სხვა სახის სარგებელი?
- აკრძალული უნდა იყოს, თუ არა საჯარო სამსახურის დატოვების შემდგომ პირის დასაქმება ‘მბრუნავი კარის’ ეფექტის თავიდან აცილების მიზნით? აკრძალვის შემთხვევაში, რა პერიოდზე უნდა ვრცელდებოდეს აღნიშნული აკრძალვა? უნდა ევალებოდეთ, თუ არა ყოფილ საჯარო მოსამსახურებს, ან უნივერსიტეტის პროფესიონერებს მოახდინონ თავიანთი პროფესიული ინტერესებისა და კავშირების შესახებ დეკლარირება, როდესაც ექსპერტის სტატუსით მონაწილეობას ღებულობენ საჯარო დებატებში, ან გამოსცემენ წაშროებს?
- როგორ უნდა იქნას რეგულირებული დახურული (სამსახურეობრივი) ინფორმაციის გამოყენება?

- როგორ უნდა იყოს რეგლამენტირებული საჯარო მოსამსახურეთა ჩამოცილება გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან?
- დეკლარირებული უნდა იყოს, თუ არა ინფორმაცია ქონების ფლობის შესახებ? უნდა გასაჯაროვდეს, თუ არა აღნიშნული დეკლარაციები? ვალდებული უნდა იყოს, თუ არა საჯარო მოსამსახურე გაასხისოს, ან სამართავად სხვას გადასცეს გარკვეული სახის ქონება? აღნიშნულის შემოწმების რომელი მექანიზმები უნდა იქნას გამოყენებული?
- რეგისტრირებული უნდა იყოს, თუ არა საჯარო მოხელისა და მისი ახლო ნათე-სავების პირადი ეკონომიკური ინტერესების შესახებ დეკლარაცია? საჯარო უნდა იყოს, თუ არა ასეთი ინფორმაცია?
- რამდენად უნდა იყოს ნებადართული საჯარო მოხელეებისათვის საპატიო თანამდებობების დაკავება, ან განევრიანება საქველმოქმედო ან სხვა სახის არაკომერციულ ორგანიზაციებში?
- როგორ უნდა განხორციელდეს აღნიშნული რეგულაციები და რა ტიპის საჯარო ინსტიტუციამ უნდა გაუწიოს ზედამხედველობა რეგულაციების დაცვას?

## სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკის შედარებითი ანალიზი

ქვეყნების უმრავლესობაში არსებობს კანონ-მდებლობა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ინტერესთა კონფლიქტის კონტროლი იყავებს უმნიშვნელოვანეს ადგილს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ინტერესთა კონფლიქტის მართვა მიჩნეულია კეთილსინდი-სიერების საფუძვლად და მნიშვნელოვან ან-ტიკორუფციულ ინსტრუმენტად. ინტერესთა კონფლიქტის არსის უკეთ შესწავლა და ცნობი-ერების ამაღლება მიზნების და სისტემის გაძლიერებას, საერთაშორისო პრაქტიკას გამდიდრებას, საჯარო სამსახურის ეთიკაზე დაფუძნებული კულტურის დანერგვა-სა და კორუფციის წინაშე დაუცველობის შემ-ცირების მიზნით არსებული ინსტრუმენტები-სა და საშუალებების გაუმჯობესებას.

ინტერესთა კონფლიქტის რეგულირება მკვე-თრად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყ-ანაში.<sup>15</sup> განსხვავებები დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთგამიჯვ-ნის მეთვალიშვილისა, კონტროლისა და ბალან-

15 Demke, C. et al. 2008. "Regulating Conflicts of Interest for Holders of Public Offices in the European Union: A Comparative Study of the Rules and Standards of Professional Ethics for the Holders of Public Office in the EU-27 and EU Institutions" [ც. დემკეს და სხვა ავტორების ერთობლივი პუბლიკაცია, 2008 წ. „საჯარო მოსამასახურეთა ინტერესთა კონფლიქტის მართვა ევრო-კავშირში: საჯარო მოსამასახურეთა პროცესის ეთიკის წესებისა და სტანდარტების შედარებითი კვლევა EU27-სა და ევროკავშირის ინსტიტუციებში. ] იხილეთ: [http://ec.europa.eu/dgs/policy\\_advisers/publications/docs/hpo\\_professional\\_ethics\\_en.pdf](http://ec.europa.eu/dgs/policy_advisers/publications/docs/hpo_professional_ethics_en.pdf)

სის სისტემის ეფექტურობა, და „რეგუ-ლაციური სიმჭიდროვე“ ანუ რეგულაციების მასშტაბი, დეტალიზაციის დონე და მოცვა.<sup>16</sup> ინტერესთა კონფლიქტის რეგულაციური სიმ-ჭიდროვით ევროკავშირის ქვეყნების ახალი წევრ-სახელმწიფოებიდან გამოირჩევინ ბულ-გარეთი და ლატვია. ევროკავშირში შედარე-ბით დიდი ხნის წინ გაწევრიანებულ ქვეყნებში ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი რეგულირები ეფუძნება კანონმდებლობას, თუმცა არა მხოლოდ მას. შესაბამისობის ზედამხედ-ველობა და გადაცდომების საპასუხოდ სან-ქციების გამოყენება აუცილებელია, მაგრამ არ წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის რეგულირების პოლიტიკის განხორციელება-ში ერთადერთ, ან ყველაზე ხშირად გამოყ-ენებულ საშუალებას. მაღალგანვითარებულ დემოკრატიებში, ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკის განხორციელება დელე-გირებულია მმართველ რგოლზე, რაც გულისხ-მობს პრევენციული ღონისძიებების გატარებას და კეთილსინდისიერი და ეთიკური ქცევის

16 See Vukadinovic, Jelena and Mirjana Glintic. 2013. "Conflict of Interest". In Legal Mechanisms for Prevention of Corruption in Southeast Europe. With Special Focus on the Defence Sector, edited by Aleksandra Rabrenovic, 95-130. Belgrade: Institute of Comparative Law. [ვუკა-დინოვიჩი ელენა და მირიანა გლინტიჩი. 2013. „ინ-ტერესთა კონფლიქტი. კორუფციის პრევენციის საკანონმდელო შექმნიზმების სამსრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ყურადღების გამახვილებით თავდაცვის სექტორზე“. ალექსანდრა რაბრენოვიჩის რედაქციით, გვ. 95-130., ბელგრადი, შედარებითი სამართლის ინსტიტუტი]

წახალისებას ტრუნინგების, საორიენტაციო მი-  
თითებებისა და რჩევების მიცემის გზით.

ზოგიერთ ქვეყანაში კონსტიტუცია განსაზ-  
ღვრავს ისეთ მოთხოვნებს, ან ეთიკურ პრინ-  
ციპებს, როგორიცაა მიუკერძობლობა, ან  
ობიექტურობა, ანდა ადმინისტრაციული  
სამართლის სხვა პრინციპები, როგორიცაა  
ლიაობა და გამჭვირვალობა. ზოგ ქვეყანაში კი  
კონსტიტუცია საერთოდ არ ითვალისწინებს  
კარგი მმართველობისა და ადმინისტრაციის,  
ან საჯარო სამსახურის სტანდარტებს.

სახელმწიფოთა უმრავლესობაში ინტერესთა  
კონფლიქტის რეგულირების მექანიზმები  
როგორც წესი რეგლამენტირებულია კანონ-  
მდებლობის მიერ. ევროკავშირის ქვეყანათა  
უმეტესობაში ინტერესთა კონფლიქტთან და-  
კავშირებული წესები მოცემულია განცალკევ-  
ებულად თითოეული საჯარო ინსტიტუტისათ-  
ვის მიღებულ აქტებში. მხოლოდ რამდენიმე  
სახელმწიფოშია მიღებული პრაქტიკა, რომლის  
მიხედვითაც ეს წესები ვრცელდება მთლიანად  
საჯარო ადმინისტრაციაზე და ყველა სახელმ-  
წიფო ინსტიტუტზე.<sup>17</sup>

იმ ქვეყნებში, სადაც არ არის მიღებული ინ-  
ტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული  
კონკრეტული წესები, მიღებულია კანონები,  
რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტული სა-  
ჯარო მოვალეობების აღსრულებასთან დაკა-  
ვშირებულ შესაბამო საქმიანობებს, განსა-  
კუთრებით პარლამენტის წევრთათვის, ან სხვა  
არჩევითი პოზიციებისათვის აღმასრულებელ  
ხელისუფლებაში, ან ადგილობრივ თვითმ-  
მართველობაში. მოხელის მიერ ერთდროულად  
რამდენიმე საჯარო მოვალეობის აღსრულება  
შეიძლება ასევე მიუღებლად იქნას მიჩნეული.  
საფრანგეთში წლების განმავლობაში კამა-  
თის საგანს წარმოადგენს კანონმდებლობით  
ჯერ კიდევ წებადართული *cumul des mandats* –  
ეგრეთ წოდებული, კუმულატიური მანდა-  
ტი, ანუ პოლიტიკოსის მიერ ერთდროულად

რამდენიმე არჩევითი თანამდებობის დაკავე-  
ბის უფლება. 2014 წლის 14 თებერვალს გა-  
მოქვეყნდა ორი საკანონმდებლო აქტი (ერთი  
ორგანული და ერთი ჩეულებრივი კანონი),  
რომლებიც ნაწილობრივ არეგულირებს ამ  
საკითხებს. კანონები ძალაში უნდა შევიდეს  
2017 წლის 31 მარტს, მორიგი არჩევნების შემ-  
დგომი.

თუმცა, ზოგადად, ბევრ ევროპულ ქვეყანაში  
პარლამენტარის საქმიანობასთან შეუთავსე-  
ბლობის საკითხები ნაკლებადაა რეგული-  
რებული, შესაძლოა იმის გამო, რომ პარლა-  
მენტარები თავად არიან საკუთარი თავის  
მარეგულირებლები.<sup>18</sup> მრავალ სახელმწიფოში  
არსებული პრაქტიკით, პარლამენტის წევრებს  
უფლება აქვთ პარალელურად ანარმონ სხვა  
საქმიანობაც, მაშინ როდესაც ასეთი უფლე-  
ბა არ აქვთ მთავრობის წევრებს და მაღალი  
რანგის საჯარო მოსამსახურებს.

მეორეს მხრივ, მაშინ როდესაც ქვეყნების ერთ  
ჯგუფს (მაგ. ლატვია, ლიეტუვა, უნგრეთი,  
ბულგარეთი, პოლონეთი, პორტუგალია, რუ-  
მინეთი, ესპანეთი და აშშ და სამხრეთ-აღმოსავა-  
ლეთ ეკორძის სახელმწიფოთა უმრავლესობა)  
აქვს მეაცრად მარეგულირებელი სისტემები,  
სხვა ქვეყნებში ხდება მხოლოდ კონკრეტუ-  
ლი საკითხების რეგულირება.<sup>19</sup> სკანდინავიურ  
ქვეყნებში შეინიშნება ინტერესთა კონფლიქტის  
რეგულირების ნაკლები „სიმჭიდროვე“, ხოლო  
ძირითადი პრინციპები გათვალისწინებულია  
სხვადასხვა საკანონმდებლო ინსტრუმენტებში.  
საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ წესების  
სიმრავლე და დეტალურობა არ ნარმოადგენს  
მათი ეფექტურობის გარანტიას. ყველაზე რეგ-  
ულირებულ საკითხებს ევროკავშირის ქვეყნებ-  
ში წარმოადგენს მოუკერძოებლობისა და საჯა-  
რო სამსახურში ყოფნისას სხვა საქმიანობების  
შეუთავსებლობის ვალდებულება; ხოლო რაც  
შეეხება საჩუქრებისა და ფულადი თანხების  
მიღებას, საჯარო სამსახურში კარიერის დას-  
რულების შემდგომ სხვაგან მუშაობის დაწ-

17 E.g. "The Seven Principles of Public Life" of the UK applies to all public officials and civil servants. [მაგალითად, გაერთიანებული სამეცნოს ე.წ „საჯარო მოვალეობის 7 პრინციპი“ განკუთვნილია ყველა საჯარო თანამდებობის პირისა და მოსამსახურისათვის.]

18 Demke et al. 2008: 29-35. [დემკე და სხვა აუტორების ერთობლივი პუბლიკაცია, 2008 წ.,] გვ. 29-35

19 Vukadinovic and Glintic 2013 [ვუკადინოვიჩი და გლინტიჩი. 2013 წ.]

ყების აკრძალვის პერიოდებს, ისინი ნაკლებად რეგულირებულია.<sup>20</sup>

თუმცა, ინტერესთა კონფლიქტის მრავალი სიტუაცია რჩება რეგულირებისა და სანქციების მიღმა. ეს განსაკუთრებით სერიოზულ ხასიათს ღებულობს მაშინ, როდესაც საქმე ეხება თავდაცვის სექტორს, სადაც ომისა და მშვიდობის, სიკეთილისა და სიცოცხლის საკითხები შეიძლება იყოს გადასაწყვეტი. ამერიკული არაკომერციული ორგანიზაციის, საჯარო ანგარიშვალდებულების ინიციატივის მიერ ბოლო დროს განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა ცნობილი, თვითგამოცხადებული თავდაცვის ექსპერტების კერძო ინტერესები სამხედრო მრეწველობის სფეროში. მიუხედავად ამისა, ეს ექსპერტები მედიაში მაინც გაგვაწნეს საჯარო ინტერესის დამცველ პირებად აშშ-ს სირიაში სამხედრო ინტერენციის საკითხთან დაკავშირებულ დებატებისას.<sup>21</sup>

მსგავსი ფაქტები არაერთხელ იქნა მხილებული ევროპის სურსათის უსაფრთხოების ორგანიზაციაში (EFSA). კორპორაციული ევროპის ობსერვატორის მიერ 2013 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული ანგარიშის ("უსარისხო კვება") შესაბამისად, ევროპის სურსათის უსაფრთხოების ორგანიზაციის სამეცნიერო საბჭოს წევრთა დაახლოებით 59%-ს პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი ჰქონდა იმ კომპანიებთან, რომელთა საქმიანობაც ექცევდა ევროპის სურსათის უსაფრთხოების ორგანიზაციის რეგულირების ქვეშ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, EFSA-ს მეცნიერთა თითქმის ორ მესამედს ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი და ვერ ჩაით-

20 Demke et al. 2008: 57. [დემკეს და სხვა ავტორების ერთობლივი პუბლიკაცია, 2008 წ.] გვ.57

21 Public Accountability Initiative. 2013. "Conflicts of Interest in the Syria Debate: An analysis of the defense industry ties of experts and think tanks who commented on military intervention" [საჯარო ანგარიშვალდებულების ინიციატივა. 2013 „ინტერესთა კონფლიქტი სირიის თაობაზე დებატებში: იმ ექსპერტებისა და ანალიტიკურ ცენტრების კავშირების ახალზი, სამხედრო მრეწველობასან, რომელიც აკეთებდნენ კომენტარებს აშშ-ს სირიაში სამხედრო ინტერენციის თაობაზე.“] იხილეთ: <http://public-accountability.org/2013/10/conflicts-of-interests-in-the-Syria-Debate/>

ვლებოდა დამოუკიდებლად იმ სექტორისაგან, რომლის საქმიანობასაც ზედამხედველობდნენ.<sup>22</sup>

გერმანული გაზეთის *Der Spiegel* 2013 წლის 10 სექტემბრის რეპორტაჟის თანახმად, ევროპის კომისიის მაღალი თანამდებობის პირებს ახასიათებთ საწინააღმდეგო ბანაკში გადასვლის მიღწევილება კერძო სექტორში სამუშაოს დაწყებისას. ისინი ინიშნებიან თანამდებობებზე ჩინურ კომპანიებში, სიგარეტის მწარმოებლებთან, ანდა საზოგადოებრივი ურთიერთობების ფირმებში – და ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური სიტუაციები ხშირად უგულვებელყოფილია მათი ყოფილი კოლეგების მხრიდან, რომლებიც მუშაობენ ევროკავშირის ინსტიტუციებში.<sup>23</sup>

აშშ-ს სურსათისა და წამლის ადმინისტრაციამ (FDA) გამოსცა უსაფრთხოებისა და ინოვაციის აქტი, რომლითაც შეამსუბუქა ინტერესთა კონფლიქტის რეგულაციები FDA-ს მრჩეველთა კომიტეტის წევრებისთვის, თუმცა კვლევატერია FDA-ს მიერ წამლის დამტკიცების პროცესზე კომიტეტის წევრთა ფინანსური კავშირების ზეგავლენის საკითხი. მიღბანების მემორიალურმა ფონდმა ახლახანს მიღებული დიდი მოცულობის მონაცემებზე დაყრდნობით ზედმინევნით შეისწავლა FDA-ს წამლის კვლევისა და შეფასების ცენტრის მრჩეველთა კომიტეტის ფინანსურ ინტერესთა შორის კავშირები და განახორციელა დაკვირვება მათ

22 Corporate Europe Observatory, "The European Parliament demands stricter regulation of conflicts of interest at EU's food safety authority." [კორპორაციული ევროპის ობსერვატორია: „ევროპარლამენტი მოითხოვს ინტერესთა კონფლიქტის რეგულაციების გამკარებას ევროკავშირის სურსათის უსაფრთხოების ორგანიზაციის.“] იხილეთ: <http://corporateeurope.org/press-releases/2014/04/european-parliament-demands-stricter-regulation-conflict-interest-eus-food>

23 Schult, Christoph and Christoph Pauly. 2013. "Conflicts of Interest: Brussels' Revolving Door for Top EU Officials." Der Spiegel On Line, 9 October 2013 [შულტი, კრისტოფი და კრისტოფ პაული. 2013 წ. „ინტერესთა კონფლიქტი: ბრუკელის შპრუნვაგი კარი ევროკავშირის უმაღლესი თანამდებობის პირებისათვის.“] Der Spiegel On Line, 9 octomberi, 2013. ixileT: <http://www.spiegel.de/international/europe/european-commission-pfficials-and-potential-conflict-of-interests-a-926792.html>

მიერ ხმის მიცემის პროცესის შესაძლო დამოკ-იდებულებაზე ფინანსურ ინტერესებთან.<sup>24</sup> სამედიცინო პრაქტიკა და რეცეპტით გან-საზღვრული მუსურნალობა დამოკიდებულია მედიცინის წარმომადგენელთა პროფესიულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც შეიძლება მო-ექცეს ფარმაცევტული კომპანიების ლობის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ.<sup>25</sup> საკმაოდ ხშირია ეჭვები მსგავსი სამედიცინო გადაწყვეტილე-ბების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდე-ბლობასთან დაკავშირებით.

24 Pham-Kanter, Genevieve. 2014. "Revisiting Financial Conflicts of Interest in FDA Advisory Committees". *The Milbank Quarterly* 92 (3): 446–470; DeAngelis, Catherine D.. 2014. "Conflicts of Interest in Medical Practice and their Costs to the Nation's Health and Health Care System". *The Milbank Quarterly* 92 (2): 195–198 [ფამ-კანტერი, ჟენევ-ვიფ. 2014 „FDA-ს მრჩეველთა კომიტეტებში ფინანსურ ინტერესთა კონფლიქტის ხელახალი მმოხილვა.“ მიღბანების კვარტალური ანგარიში 92 (3) 446–470; დეანგელის კეტრინი დ. 2014 წ. „ინტერესთა კონფლიქტი სამედიცინო პრაქტიკაში და მისი ფასი ხალხის ჯანმრთელობისა და ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისათვის.“] მიღბანების კვარტალური ანგარიში 92 (2) 195–198

25 See, for example Caroll, Aaron E. 2014. "Doctors' Magical Thinking About Conflicts of Interest". *The New York Times*, 8 September 2014 [ზაგალითისთვის იხ-ილეთ კეროლ, აარონი ე. 2014 წ. „ექიმების ჯადოს-ნური წედვა ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით.“ ნიუ იორკ ტაიმსი, 8 სექტემბერი, 2014 წ.] [http://www.nytimes.com/2014/09/09/upshot/doctors-magical-thinking-about-conflict-of-interet.html?\\_r=1&abt=0002&abg=1%20](http://www.nytimes.com/2014/09/09/upshot/doctors-magical-thinking-about-conflict-of-interet.html?_r=1&abt=0002&abg=1%20)

## აღსრულების აქილევსის ქუსლი

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პროცესში აღბათ ყველაზე რთულ საკითხს წარმოადგენს პოლიტიკის განხორციელება და რეგულაციების მიზნებთან, ფორმულირებასთან და სულისვეობებსათან შესაბამისობის უზრუნველყოფა. დემკეს და სხვა ავტორების თანახმად:

- რაც უფრო მეტი წესი არსებობს, მით უფრო მეტი მართვის რესურსია საჭირო ამ წესებისა და სტანდარტების განხორციელებისათვის. მაშინ, როდესაც ახალი ვალდებულებების შესრულების ინდივიდუალური მოთხოვნები იზრდება (ძირითადად ინფორმაციის გამუდარებასთან დაკავშირებით), უმრავლეს შემთხვევაში კონტროლისა და მონიტორინგის ორგანოები (მაგ. ეთიკის კომიტეტები) სუსტია და განიცდის რესურსების ნაკლებობას.<sup>26</sup>

დემკეს აღნიშნული დასკვნა აკრიტიკებს ინტერესთა კონფლიქტის კომპლექსური რეგულაციების მიღებას: აღსრულება მოითხოვს მაღალი თანამდებობის პირებისა და პოლიტიკოსებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის მხედველობაში მიღებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ეთიკური ნორმები, რომელიც განკუთვნილია ზოგადად საჯარო მოსამსახურეებისათვის, არ უნდა იქნას გამოყენებული იმავე ფორმით მაღალი რანგის საჯარო მოხელეებისა და პოლიტიკოსებისათვის. მონიტორინგის ორგანოების სწრაფი რეაგირება ინტერესთა კონ-

ფლიქტის საფუძველზე წარმოქმნილ პოლიტიკურ სკანდალებზე, მიზნად ისახავს შესაბამისი პოლიტიკური უწყებების რეპუტაციის დაცვასა და მათ მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნებას. თუმცა სწრაფი რეაგირება შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს დროში განელილ და მოუქნელ ღონისძიებებთან, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციული წარმოებისა და სისხლისამართლებრივი გამოძიების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად.

ინტერესთა კონფლიქტის ისეთი სიტუაციების სუსტი რეგულირება, სადაც ჩართულები არიან მაღალი თანამდებობის პირები, სულ უფრო ნაკლებად მისაღები ხდება სამოქალაქო საზოგადოებსათვის და თავისუფალი საზოგადოებრივი აზრისათვის. ერთის მხრივ, ვრცელ და ყოვლისმომცველ წესებსა და, მეორეს მხრივ, მათი აღსრულების სისუსტეს შორის შეუსაბამობა კვებავს საზოგადოების ცირიზმს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საჯარო სექტორში არსებული თვითორეგულირების სისტემების რეპუტაციის შეღავას. მაშასადამე, ინტერესთა კონფლიქტის მიმართ რეაგირების ძლიერი ორგანოების არსებობა სულ უფრო მეტად აუცილებელია. მათ სჭირდებათ სამართლებრივი უფლებამოსილებები გამოძიების წარმოების, შესაბამისი კანონმდებლობის აღსრულებისა და შეუსაბამო ქცევის დასჯის სანქციების გამოყენებისთვის.

26 Demke et al 2008: 8. [დემკეს და სხვა ავტორების ერთობლივი პუბლიკაცია, 2008 წ.,] გვ. 8

ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება, მაგალითად როგორიცაა აშშ, მიუთითებს ინტერესთა კონფლიქტის როლს ხასიათზე და გამოთქვამს ვარაუდს, რომ სათანადო კანონადსრულების პროცესში კანონმდებლობასა და რეალურაციებთან ქცევის შესაბამისობის ოფიციალურ მონიტორინგთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო საზოგადოების სადამკვირვებლო ჯგუფების მიერ წარმოებულ არაფორმალურ მონიტორინგს. როგორც მიუთითებს აზის განვითარების ბანკისა (ADB) და ეთგო-ს (2007) ანტიკორუფციული ინიციატივა:

- ინტერესთა კონფლიქტის მართვის პროცესში პრევენცია უფრო ხარჯ-ეფექტურია ვიდრე კანონადსრულება; თუმცა ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია კარგი მმართველობის განვითარებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ქცევის უნივერსალური წესები, ქონებისა და ინტერესების დეკლარირების ვალდებულება და საზოგადოების განათლებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანია ეთიკური ქცევის ფუნდამენტური კონცეფციებისა და მოლოდინების თაობაზე უნდა დაბალანსდეს მკაფიო სანქციებით და აღსრულების ღონისძიებებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას როგორც ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების, ასევე მისი შედეგების მიმართ ადეკვატური ღონისძიებების განხორციელება.<sup>27</sup>

---

27 ADB/OECD Anti-Corruption Initiative for Asia and the Pacific. "Managing conflicts of interest. Frameworks, tools, and instruments for preventing, detecting, and managing conflict of interest" [აგპ/ეთგო-ს ანტიკორუფციული ინიციატივა აზისა და წენარი ოკეანის აუზის ქვეყნებისათვის. „ინტერესთა კონფლიქტის მართვა. „ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის, გამოვლენისა და მართვის სისტემები, სამუალებები და ინსტრუმენტები.“] იხილეთ: <http://www.adb.org/sites/default/files/publication/27975/managing-conflict-interest.pdf>

# დასკვნები

1. ინტერესთა კონფლიქტი, მიუხედავად მისი როულად შესამჩნევი ხასიათისა, რეალურია. უკანონო ინტერესებმა შესაძლოა ზეგავლენა იქნიოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე და ყველა ასპექტში მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის კერძო ეკონომიკურ საქმიანობაშიც. მძიმე შედეგები შესაძლოა გამოვლინდეს ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა, მაგალითად, სამედიცინო მჟღალობა, ომი და მშვიდობა, მართლმაჯულება და უსამართლობა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინტერესთა კონფლიქტის სრულად აღმოფხვრა აღბათ შეუძლებელია, მაგრამ საზოგადოებაში მიმდინარე ინფორმირებულმა დისკუსიებმა შესაძლოა მინიმუმადე დაიყვანოს ინტერესთა კონფლიქტის თანმდევი შედეგები.
2. მიუხედავად იმისა, რომ რეგულირების გამართული სისტემის არსებობა აუცილებელია, როგორც ასეთი, ეს საკმარისი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დახვენილი ეროვნული რეგულაციები და კოდექსები ბევრ ქვეყნაში არსებობს, მათ შეირად სერიოზული ყურადღება არ ექცევა. თუკი საკანონმდებლო ცვლილებები ხორციელდება თანამდებობის პირებისა და საჯარო დაწესებულებების მიმართ საზოგადოებრივ ნდობას ასე მარტივად ვერ აამაღლებს. საზოგადოება არ კმაყოფილდება მხოლოდ ინფორმაციით, რომლის თანხმადაც ქვეყნაში მოქმედებს ინტერესთა

2. კვლევები და მიღებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამოვლინების, პრევენციისა და მართვისთვის აუცილებელია ეფექტური პოლიტიკური ხელმძღვანელობის, ძლიერი სამართლებრივი სისტემისა და დამოუკიდებელი პრესის არსებობა. საზოგადოებრივი დისკუსიის დამყარებისათვის, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საჯარო სფეროში, ისევე, როგორც კერძო ურთიერთობებში მაღალი ეთიკური სტანდარტების დანერგვასა და გამყარებას, აშკარად სასარგებლო იქნება მოტივირებული ხელმძღვანელობის არსებობა. გამჭვირვალობა და სამართლიანობა ასევე აუცილებელი კომპონენტებია. ბოლოს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადეკვატურად ანაზღაურებადი პროფესიონალური საჯარო სამსახურის, პოლიტიკოსთა და საჯარო მოხელეთა უფლებამოსილებასთან დაკავშირებული მკაფიო წესების არსებობას და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

## კარგი მმართველობის გზამკვლევების სერია

კარგი  
მმართვე-  
ლობის  
გზამკვლევი

No. 01

პროფესიონალიზმი და  
კუთხილსწინებულება  
საჯარო სამსახურში

CENTRE FOR INTEGRITY  
IN THE DEFENCE SECTOR

კარგი  
მმართვე-  
ლობის  
გზამკვლევი

No. 02

ინტერესთა კონფლიქტის  
გადაჭრა საჯარო სექტორში

საჯარო სამსახურის მიერ და მის მიერ მომსახურების უზრუნველყოფა

No. 03

კარგი  
მმართვე-  
ლობის  
გზამკვლევი

კორუუციასთან ბრძოლის  
პოლიტიკა და სააგენტოები

საჯარო სამსახურის მიერ და მის მიერ მომსახურების უზრუნველყოფა



გზამკვლევი ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრა საჯარო სექტორში განიხილავს საკითხებს, თუ როგორ ეფუძნება დემოკრატია ორი სფეროს ურთიერთგამიჯვნას: ერთის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებას და პაზარს (კერძო სექტორი), და მეორეს მხრივ, სახელმწიფოს (საჯარო სექტორი), რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ მმართველობას და უნდა გამოხატავდეს საჯარო ინტერესს, ინტერესთა კონფლიქტის ცნება მოიცავს ეთიკური და რეგულაციური პრობლემების კომპლექსს, რომელიც თან ახლავს საზოგადოების საჯარო და კერძო სფეროების ურთიერთებულებას. ინტერესთა კონფლიქტის სიტუაციები დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექსტზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკის განმახორციელებლების მიერ არაეფექტური მიღებებისა და რეგულაციების შემოღება.

**კარგი მმართველობის გზამკვლევი** წარმოადგენს მცირე ბუკლეტების სერიას, რომელთაგან თითოეული განიხილავს თავდაცვის სფეროში კარგ მმართველობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ თემას. გზამკვლევების წაკითხვა შეიძლება მიზანშეწონილი იყოს მათვის, ვისაც აინტერესებს თავდაცვის სფეროში – ან უფრო ზოგადად საჯარო სფეროში – კარგ მმართველობასთან პირდაპირი კავშირის მქონე ერთი, ან რამდენიმე საკითხი – ასევე მათი გამოყენება შეიძლება საგანმანათლებო მიზნებისთვისაც.

გამოცემული: „თავდაცვის სექტორში ინტეგრაციის ცენტრი“-ს მიერ

დიზაინი: [www.melkeveien.no](http://www.melkeveien.no)

ბეჭდვა: ნორვეგიის მთავრობის უსაფრთხოებისა და სამსახურის ორგანიზაცია ივნისი/2015.



ინგლისური ორიგინალის ქართული  
თარგმანი თავაზიანად უზრუნველყოფილი  
ჩრდილოატლანტიკური  
ხელშეკრულების ორგანიზაციამ



თავდაცვის სექტორის  
კეთილსინდისიერების ცენტრი  
[www.cids.no](http://www.cids.no)